

ტარიელ ფუტყარაძე /თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

მიხეილ ლაბაძე /თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

თამარ ლომაძე /თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

ლია ოთინაშვილი /სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

ქართული ენის სწავლება “ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსის“ ბაზაზე: პრობლემები და პერსპექტივები

თანამედროვე კომუნიკაციები, ორენოვანი თარგმანები და კვლევები უკვე არსებითადაა დამოკიდებული ტექსტების **მომცველობით** კორპუსზე; მომავალი კომუნიკაციები, ზოგადად, ერებისა თუ სახელმწიფოების კულტურა კი სრულად იქნება დამოკიდებული მასზე. “ტექსტების კორპუსი“ ერისა თუ სახელმწიფოს იდენტობის საფუძველი ხდება. წარმოდგენილ სტატიაში წინა პლანზე წამოვწევთ ტექსტების კორპუსის როლს ენის სწავლების პროცესში.

სწავლების პროცესში კორპუსის გამოყენებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაინტერესდნენ. ამ პერიოდში, პირველად კორპუსის საფუძველზე, შეიქმნა კოლინის ინგლისური ენის შემსწავლელთა ლექსიკონი¹. ამას მოჰყვა ბევრი სხვა პუბლიკაცია და სამეცნიერო ნაშრომი კორპუსის საშუალებით ენის სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით.

კორპუსის როლი ენის სწავლებაში საკმაოდ ეფექტურია. დღეისათვის იგი უკვე ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდადაა მიჩნეული. კორპუსი საინტერესო შესაძლებლობებს იძლევა ახალი ტიპის, უფრო ეფექტური სახელმძღვანელოს ფორმირებისა. ეს კი ავტორს საშუალებას აძლევს, პედაგოგის დახმარებით, მარტივი ხერხით გაამახვილებინოს მოსწავლეს ყურადღება ყველა საჭირო და მნიშვნელოვან დეტალზე, რაც საწინდარია ენის პროფესიულ დონეზე დაუფლებისა.

¹ T. Bongaerts, P. de Haan, S. Lobbe, & H. Wekker (Eds.), Computer applications in language learning, pp. 9-27

კორპუსი ხელს უწყობს ლექსიკური და გრამატიკული კომპლექსურობის დონის გაზრდას. კორპუსზე დაკვირვება მასწავლებელს აჩვენებს ნაკლებად ან უფრო ხშირად გამოყენებადი ლექსიკის ან გრამატიკული კონსტრუქციების სიხშირეს, რის მიხედვითაც ხდება ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოების შედგენა.

ამავდრიულად, კორპუსის საშუალებით აწარმოებენ ენების შეპირისპირებით ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს მშობლიური და შესასწავლი ენის კორპუსების შედარებას. ამ ტიპის ანალიზის საფუძველზე ხდება ორ ენას შორის როგორც მსგავსებების, ისე განსხვავებების დადგენა მორფოლოგიის, ლექსიკის, სინტაქსის, დისკურსისა და ფრაზეოლოგიის დონეზე. მშობლიური და სამიზნე ენების შედარებითი კვლევის მეთოდს აკრიტიკებენ იმ თვალსაზრისით, რომ ორი ენის შედარებისას ნაკლებია ცალკეული ენის მახასიათებლების დადგენის და შესწავლის პერსპექტივა.

სწავლების მიზნით ორი ტიპის კორპუსის გამოყენება შეიძლება. ესენია: მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა კორპუსი (მაგ. ეროვნული კორპუსი) და ენის შემსწავლელთა კორპუსი.²

ენის შემსწავლელის კორპუსი შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად იმის მიხედვით თუ როგორ ხდება მისი შეგროვება და შემდეგ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყენება. დღემდე ამ ტიპის კორპუსი გამოიყენებოდა მხოლოდ ე.წ. გადავადებული (**delayed**) პედაგოგიური საქმიანობისთვის, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ენის შემსწავლელები კორპუსს დამოუკიდებლად კი არ იყენებდნენ, არამედ პირველ ეტაპზე ხდებოდა მისი ლინგვისტური დამუშავება სპეციალისტთა მიერ.

ბოლო დროს გაჩნდა ახალი ტიპის — ენის შემსწავლელთა ტექსტების ბაზაზე შექმნილი კორპუსი. ის პედაგოგებმა თავადაც შეიძლება შექმნან. ამგვარი, დიდი ზომის კორპუსები უფრო მასშტაბურია და შესაბამისად, ფართო ანალიზის საშუალებას იძლევა. მასწავლებლების მიერ კორპუსის შეგენის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიცაა, რომ თავიანთი სტუდენტების კორპუსზე დაკვირვება ზრდის მათ მოტივაციას რაც შეიძლება ინტენსიურად გამოიყენონ ენის სწავლების კორპუსზე დაფუძნებული მეთოდი. მეორეს მხრივ, ეს ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას და კორპუსის მიხედვით აღმოჩენილ საკუთარ შეცდომებზე თუ პრობლემებზე დაკვირვება აუქობებს მათ მიერ ენის ათვისების დონეს.

² McEnery, T. & Wilson, A. *Corpus linguistics*. Edinburgh University Press, 2001, 2nd ed. p. 190-192.

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა კორპუსის ანალიზი ენის დეტალური შესწავლის საშუალებას იძლევა, რის შედეგადაც იქმნება ენის შემსწავლელთა ლექსიკონები და სასწავლო მასალები. ენის შემსწავლელთა კორპუსის შექმნა მასწავლებლებს თავად შეუძლიათ. მაგალითად, თუ ისინი სტუდენტებს დავალებად მისცემენ დაწერონ ესეები ერთ კონკრეტულ თემაზე ელექტრონულ ფორმატში. შეგროვებული მასალის საფუძველზე მასწავლებელი შეძლებს შეცდომების იდენტიფიცირებას, მათ დაჯგუფებას, ანალიზსა და საბოლოოდ, სასწავლო მასალების შესატყვისად დაგეგმვას.

პედაგოგიკის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია პირველი (მშობლიური) და მეორე (შესასწავლი) ენის კორპუსების შედარება. მასწავლებელს საშუალება ეძლევა მოახდინოს ლექსიკური, გრამატიკული და დისკურისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნების იდენტიფიცირება.

რაც შეეხება ლექსიკონებს, დღეისათვის არც ერთი მათგანი, განსაკუთრებით ბრიტანული, არ არსებობს, რომელიც ბაზად კორპუსს არ იყენებდეს. ძირითადი ინგლისურენოვანი ლექსიკონები, რომლებიც გათვლილია ენის შემსწავლელთათვის, ან თუნდაც მათთვის, რომელთა მშობლიური ენაც ინგლისურია, დაფუძნებულია კორპუსულ ბაზებზე. გარდა ამისა, თუ კარგად დავაკვირდებით ლექსიკონის სტილსა და სტრუქტურას, შეგვიძლია ამოვიცნოთ, თუ რა ტიპის კორპუსი იქნა გამოყენებული და რამდენად საჭიროა იგი ლექსიკონის შედგენისათვის.³

ინგლისელი მეცნიერის ბარლოუს⁴ მიხედვით სწავლების პროცესში კორპუსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამ დარგში: სილაბუსის შედგენისას, მასალის დამუშავებისათვის და საკლასო მუშაობის პროცესში.

სილაბუსის შედგენისას მასწავლებელს აქცენტი აქვს გადატანილი კლასისა და მოსწავლეების საჭიროებაზე. შესაბამისი კორპუსის სწორად გამოყენების შემთხვევაში კი მას საშუალება ეძლევა განსაზღვროს კონკრეტული კლასისათვის კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ენობრივი მასალა.

მასალის დამუშავება ხშირად ეყრდნობა მასწავლებლის ინტუიციურ გრძნობას, თუ რისი სწავლა სჭირდებათ და სურთ მოსწავლეებს. კორპუსის დახმარებით შეიძლება სავარჯიშოები, რომლებიც ეფუძვნება რეალურ მაგალითებს. ამით კი მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ენის სიღრმისეული შესწავლისა.

³ Aston Guy, *Corpora and Language Teaching*, 2000, p. 7-17.

⁴ Barlow, Michael, *Corpora, concordancing, and language teaching*, 2002 *Proceedings of the 2002 KAMALL International Conference*. Daejon, Korea

ენობივი ანალიზის დროს ხშირად გამოიყენება წინასწარ შეგნებულად შერჩეულ კორპუსი და კონკორდანსის მეთოდი. საკლასო მუშაობის პროცესში მასწავლებელს შეუძლია მასალის ახსნისას მიმართოს ზემოხსენებულ უკვე აპრობირებულ მეთოდს, ან კლასის სრული ჩართულობის მიზნით, ნება დართოს მოსწავლეებს, თავად გამოიყენონ ეს მეთოდი, რაც ხელს შეუწყობს მათ გააკეთონ საკუთარი დასკვნები ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას.

როგორც ჩანს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კორპუსს საკლასო სამუშაოებში. იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მასალათა საცავი, საიდანაც ადვილი შესაძლებელი იქნება საჭირო მასალის ამოღება სავარჯიშოების შესადგენად.

მოგეხსენებათ, სათანადო მაგალითების მოსახმობად ორი გზა იყო აპრობირებული: ან მხატვრული ლიტერატურიდან იწერდნენ მაგალითებს, რასაც ბევრი დრო მიჰქონდა, ან თავად იგონებდნენ. ახლა ეს საკითხი გადავიღებთ - ჩაწერთ სიტყვას და მაგალითები კონტექსტებითურთ რამდენიმე წამშია მზად როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ასევე სამეტყველო ენიდან, რამდენადაც თანამედროვე რეპრეზენტაციული კორპუსები გაკრვეული ბალანსის დაცვით შეიცავს ყველა ტიპის ტექსტს.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთი აქტივობა:

ვთქვათ, მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს, რომლის თემაა დიეტა. ძალიან რთულია ამ თემაზე იპოვო ისეთი ავთენტური ტექსტი, რომელშიც სიტყვა დიეტა ბევრ სხვადასხვა კონტექსტში იქნება მოხსენებული. ამისთვის მასწავლებელს მოუწევს დიდი რაოდენობით ტექსტების წაკითხვა, დამუშავება და შესაბამისი მასალის მოპოვება, რაც ძალიან ბევრ დროს წაიღებს და მასალა, სავარაუდოდ, მაინც ვერ იქნება ამომწურავი. ამ საქმეს კორპუსი გააიოლებს. კონკრეტული სიტყვისა თუ ფრაზის გაცილებით დიდი რაოდენობის მოძიების საშუალებას სწორედ კორპუსი იძლევა, მასში ბევრად მეტ მაგალითს ვიპოვით, ვიდრე ნებისმიერ სასწავლო მიზნით მომზადებულ ტექსტში. აქვე მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ადვილად გაართვან თავი მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებებს, როგორცაა:

1. იპოვეთ ფრაზა თუ გამოთქმა, რომელიც შეიცავს სამიზნე სიტყვას;
2. გაარკვიეთ, ამ სიტყვის მნიშვნელობა იგივე რჩება თუ იცვლება სხვადასხვა კონტექსტში;
3. დააჯუფეთ მოცემული სიტყვის მნიშვნელობები სხვადასხვა ლოგიკური პრინციპით და ა.შ.

მიღებული პრაქტიკაა, ასევე კორპუსში შეტანილი ტექსტებიდან (მათ შორის სტუდენტების ნაშრომებიდან) ორთოგრაფიული, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომების ამოწერა და ამ შეცდომების მიხედვით ენის შემსწავლელთათვის ტესტებისა და სავარჯიშოების შედგენა.

კორპუსი, ასევე, საჭირო მასალას იძლევა ენის ცოდნის დონის შესამოწმებელი ტესტების (ე. წ. **Language knowledge Level Tests**) შესადგენად. უნდა აღინიშნოს, ამ ტიპის ტესტის ზოგიერთი შემდგენელი თვლის, რომ კორპუსი ასეთი სამუშაოსთვის შეუფერებელია იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ერთ დიდ, არასტრუქტურულ ბაზას. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ავხსნათ, რომ მათი პრობლემა მომდინარეობს თავად კორპუსის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეებიდან და არა მისი შედგენილო-ბიდან. აუცილებელია, ბაზიდან სწორად იქნას შერჩეული მასალა, რომელიც საჭიროა ზემოაღნიშნული ტესტის შესადგენად. მაგალითისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ აბსოლუტურად სხვა ტიპის მასალაა საჭირო, როცა, ვთქვათ, გერმანულენოვანი სწავლობს ინგლისურ ენას და სულ სხვა, როცა ფრანგულენოვანი ცდილობს ინგლისური ენის სწავლას. სხვა შემთხვევაში ენის შემსწავლელი წააწყდებიან საკმაოდ დიდ და მრავალ პრობლემას.

ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა კორპუსს ლინგვისტიკის ყველა პრობლემის გადაჭრა? პასუხი ცალსახაა, რა თქმა უნდა, არა. კორპუსი არის აშკარა დამხმარე საშუალება ლინგვისტიკასა და ყველა იმ სფეროში, რაც დაკავშირებულია ენის შესწავლასთან. უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსს აქვს გარკვეული ტიპის შეზღუდვები, ამიტომ იგი გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება კომბინაციაში ყველა იმ მეთოდთან, რომელიც განსაზღვრულია სწავლება-შესწავლისათვის.

ნებისმიერი სახის დასკვნა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ამა თუ იმ ენის შესახებ კორპუსის მეშვეობით, იქნება ზოგადი ხასიათის, ვიდრე დადასტურებული ფაქტი. აღნიშნულს დავაკვირდეთ ბრიტანული ნაციონალური კორპუსის (კორჩ) მაგალითზე, რომლის ბაზას წარმოადგენს ასი მილიონი სიტყვა. ანუ ზემოხსენებული ჰიპოთეზაში ჯდება მოცემული ასი მილიონი სიტყვა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს უკანასკნელი მთელი კორპუსის ბაზაა, ჰიპოთეზა ავტომატურად ვრცელდება მთელ ენაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში კორპუსისთვის განკუთვნილი ბაზა არ წარმოადგენს მთელ ენას, მაშინ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ჰიპოთეზა არ შეიცავს სიმართლეს. ასეთ შემთხვევაში გვმართებს საკმაოდ დიდი სიფრთხილის გამოჩენა, რადგან აქ უკვე საქმე აღარ გვექნება მხოლოდ კორპუსის ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელ ფაქტთან, არამედ საჭირო გახდება ჩართულ იქნას მთელი რიგი სამეცნიერო მეთოდები.

ფართო კონტექსტის დისკურსი მკვლევარს საშუალებას აძლევს შეეხოს ენის გაცილებით მრავალფეროვან ასპექტებს. მორფოლოგიიდან აქცენტი გადადის ლექსიკაზე, ფრაზეოლოგიაზე,

ქანრობრივ მრავალფეროვნებაზე და სხვა, აქამდე ყურადღების მიღმა დარჩენილ ასპექტებზე. ყურადღება იმის ფაქტი, რომ ენის შემსწავლელთა კორპუსის შემქმნელებისთვის რაოდენობა გადამწყვეტი არ არის. კორპუსის ლინგვისტიკისგან განსხვავებით, რომელთათვის მთავარი მიზანი რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ტექსტების შეგროვებაა, ენის შემსწავლელთა კორპუსის შემქმნელებისთვის პრიორიტეტულია იმ მასალის პოვნა, რომელიც შეიძლება ეფექტიანი გამოდგეს ენის შესწავლის პროცესში. სწორედ ამიტომ, ამ ტიპის კორპუსის შედგენა ეფუძნება საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს.

ხშირ შემთხვევაში კორპუსი იძლევა მტკიცებულებას, მაგრამ არა ახსნა-განმარტებას, რადგან ეს უკანასკნელი სცილდება მის ფარგლებს. ამიტომ, განსაკუთრებით ტექსტზე მუშაობის დროს, გვიხდება მივმართოთ სხვა სახის მეთოდს, რათა ჩავწვდეთ მის არსს. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა რეცხვა. სრულიად განსხვავებულ კონტექსტში ხდება მისი გამოყენება მდებრობითი და მამრობითი სქესის მიერ. ეს აიხსნება არა კორპუსის ფარგლებში, არამედ საზოგადოების მიერ, რომელიც ზოგადდება კორპუსში. აქ საქმე გვაქვს ე.წ. კულტურულ სხვაობასთან, ანუ უბრალოდ ჩამოყალიბდა რეცხვად წოდებული პროდუქტი, რომელსაც ქალი უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე მამაკაცი. ფაქტობრივად, ეს არის კულტურული სფერო, რომელიც განხილულ უნდა იქნეს, როგორც ქალის როლი საზოგადოებაში. ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროდუქტი, გამიზნული მდებრობითი სქესისათვის, რომელსაც ქალი უფრო აქტიურად გამოიყენებს თავის ყოველდღიურობაში, ვიდრე მამაკაცი.

ამდენად, ზოგიერთი განმარტება, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ხშირად რჩება კორპუსის მიღმა. ზოგჯერ შესაძლებელია სასურველი განმარტება მივიღოთ მხოლოდ მინიშნების სახით, რაც კონკრეტული შემთხვევისათვის საკმაოდ უჩვეულო და გამოუსადეგარიც კი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი ერთია, შერჩეული უნდა იქნას მრფოლოგიურად ანოტირებული კორპუსი. ინფორმაცია დართული კორპუსი თავისუფლად დაგვეხმარება ამა თუ იმ სიტყვის ახსნაში. ანუ თუ კორპუსი კარგადაა ანოტირებული და გრამატიკული მნიშვნელობებიც მიწერილია, მაშინ ვიღებთ სასურველ განმარტებას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კორპუსი სრულიად უარყოფს ვიზუალს, რომელიც ასოცირდება ტექსტთან. მაგალითად, გაზეთი არის კომბინაცია ტექსტისა და გამოსახულებისა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ორი რამ ჯაჭვურადაა ერთმანეთზე დამოკიდებული და მათი განცალკევება დაასუსტებს როგორც ფაქტის აღქმას, ასევე შთაბეჭდილებას. ასეთ შემთხვევაში, მათ, ვინც დაინტერესებულია ტექსტის ამ ტიპის შესწავლით, შეუძლიათ

გამოიყენონ ე.წ. მულტიმოდალური კორპუსი, რომელიც გვერდს უვლის ვიზუალურს და ფოკუსირდება მხოლოდ ენობრივ მასალაზე.

სწავლება-დასწავლის პროცესისათვის არანაკლებ საჭიროებას წარმოადგენს ზეპირსიტყვიერი კორპუსული ბაზა. ამ შემთხვევაშიც კვლავ უხვ მასალს გავძლევს ბრიტანული ნაციონალური კორპუსი. უფრო ღრმა კვლევისათვის კი შესანიშნავი იქნება ორთოგრაფიულად ტრანსკრიბირებული კორპუსი

(**Orthographically transcribed corpus**). დღეისათვის ამ ტიპის კორპუსის მაგალითს წარმოადგენს სასაუბრო/დიალექტური იტალიურის ტექსტურ-აკუსტიკური მონაცემების ბაზა

ვივალდი, რომელიც შეიქმნა 1998 წელს, ხოლო მისი საცდელი ვერსია ინტერნეტში 2011 წლიდანაა განთავსებული. მასში წარმოდგენილია ყველა იტალიური დიალექტისა და ასევე, იტალიაში გავრცელებული უმცირესობის ენების (ალბანური, ხორვატული, გერმანული...) მასალა, ერთდროულად ტექსტური და აკუსტიკური სახით, რომელსაც აქვს შემდეგი ინტეგრირებული მახასიათებლები: გეოგრაფიული, სოციოლინგვისტური, სტატისტიკური და ტექნიკური.

ვივალდის სრულყოფა ამჟამადაც გრძელდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახითაც იგი მრავალმხრივ გამოსადეგია იტალიური ენის შესწავლისას. უპირველეს ყოვლისა, მისი მეშვეობით, ენის შემსწავლელს შეუძლია, უშუალოდ გაეცნოს და შეითვისოს იტალიური სასაუბრო ენისა და დიალექტების აქცენტუაცია და ინტონაცია, სახელური და ზმნური სიტყვათწარმოების ტიპები და სინტაქსური თავისებურებანი.

ენის შემსწავლელის კორპუსის კვლევა პედაგოგიური პრაქტიკისთვის ძირითადად სამი მიმართულებითაა გამოსადეგი, ესენია: ენობრივი სიზუსტე, კომპლექსურობა და გამართული მეტყველება. ენის სწორად გამოყენების გაუმჯობესებას ხელს უწყობს ენის შემსწავლელის კორპუსში იდენტიფიცირებული შეცდომების ანალიზი და ამ მიმართულებით სავარჯიშოების დამატება. შეცდომების ანოტაციისთვის მკვლევარებმა შექმნეს სპეციალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეცდომების უფრო მარტივად იდენტიფიცირებას.

ამრიგად, აღნიშნული ცხადყოფს, რომ კორპუსსა და ენის სწავლებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, მაგრამ მთავარია სწორად იყოს არჩეული სწავლების პროცესში მისი გამოყენების სტილი და მეთოდი. ვფიქრობთ, კორპუსულ წყაროს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, გააუმჯობესოს პედაგოგიური პრაქტიკა იმდენად, რამდენადაც არსებობს მისი გამოყენების სხვადასხვა გზა და ხერხი, როგორც არაპირდაპირი - სასწავლო-სარეკომენდაციო

მასალა პედაგოგიური მუშაობისათვის, ასევე პირდაპირი - ენის სწავლებისათვის საჭირო საშუალებები.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Aston Guy, *Corpora and Language Teaching*, 2000;
2. Botley, Simon/Glass, Julia/McEnery, Tony/Wilson, Andrew, *Proceedings of Teaching and Language Corpora 1996*. Lancaster: University Centre for Computer Corpus Research on Language;
3. Sinclair John, *How to Use Corpora in Language Teaching*. Amsterdam, 2004
4. McEnery, Tony/Xiao, Richard/Tono, *Corpus-based Language Studies. An Advanced Resource Book*. London: Routledge, 2006
5. Johns, T. (1988). Whence and whither classroom concordancing? In T. Bongaerts, P. de Haan, S.Lobbe, & H. Wekker (Eds.), *Computer applications in language learning*. oris.)
6. Costas Gabrielatos, *TESL EJ Teaching English as a Second or Foreign Language* VOL. 8. No. 4. A-1, March 2005.
7. Barlow, Michael, *Corpora, concordancing, and language teaching*, 2002, *Proceedings of the 2002 KAMALL International Conference*. Daejon, Korea

Tariel Putkaradze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Mikheil Labadze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Tamar Lomadze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Lia Otanashvili /Sokhumi State University/

**Teaching Georgian Based on Georgian National Corpus:
Problems and Prospects
S U M M A R Y**

The aim of the work is to define the linguistic corpus role in language teaching. The examples show that there is a close connection between the corpora and language teaching. It is clear, that corpus source has the great potential to improve the pedagogical practices during the teaching and learning process.

It should be noted that language handbooks made according to the linguistic corpora are more effective. Linguists think that soon electronic corpora will be the only source in the process of creating learning materials.